საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1183 2024 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

„ზურაბ პატარაძის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2023 წლის 26 ივნისის №26/06/02 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების მოწონებისა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 27 დეკემბრის №2395 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 7^3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად:

ა) მოწონებულ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 21 აგვისტოს №21/08/01 განკარგულება „ზურაბ პატარაძის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2023 წლის 26 ივნისის №26/06/02 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

ბ) განხორციელდეს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების თანახელმოწერა.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზურაბ პატარაძის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2023 წლის 26 ივნისის №26/06/02 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების მოწონებისა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 ივნისის №1227 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 27 დეკემბრის №2395 განკარგულება.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე